ეკონომიკური
ძალაუფლება

შინაარსი

თავი პირველი: აჰმედი და ჰამადი.....4

თავი მეორე: სამსხვერპლო კრავი.....7

თავი მესამე: ღმერთის სიტყვა.....11

თავი მეოთხე: უზენაესი ღმერთის მსხვერპლი.....14

თავი მეხუთე: ცოდვა.....19

თავი მეექვსე: იბრაჰიმის ძე.....24

თავი მშვიდე: უზენაესი ღმერთი ერთია.....29

თავი მერვე: ღმერთი და ადამიანი.....35

დანართი.....43

აჰმედი და ჰამადი

აჰმედმა ერთ-ერთ დაწესებულებაში დაიწყო მუშაობა. მართალი არ იქნებოდა თუ ვიტყოდით, რომ სამსახურით უკმაყოფილო იყო, მაგრამ რატომღაც ხელმძღვანელობასთან ურთიერთობა გაუჭირდა. იგი ყოველთვის გრძნობდა, რომ უფროსი არასოდეს მისცემდა თავისი შესაძლებლობების სრულად გამოვლენის საშუალებას. როდესაც განყოფილება რაიმე სერიოზულ დავალებას იღებდა, ყურადღების ცენტრში ყოველთვის ხელმძღვანელი ექცეოდა, რათა მთელი დამსახურება თვითონ მიესაკუთრებინა.

აჰმედმა რამდენჯერმე სცადა სამსახურის გამოცვლა, მაგრამ ცხოვრება მკაცრია და უკეთესი სამსახურის შოვნა იოლი როდია. გარდა ამისა, ამ დაწესებულებაში ხელფასი გაცილებით მაღალი იყო ვიდრე სხვა შემოთავაზებულ სამუშაოებზე, ასე რომ, აჰმედი ძველ სამსახურში დარჩა. იგი ფიქრობდა, რომ მეუღლისა და სამი შვილის სარჩენად ფული აუცილებლად სჭირდებოდა. აჰმედი შვილებით ამაყობდა, განსაკუთრებით ჰასანით, უფროსი შვილით, რომელიც უნივერსიტეტში საინჟინრო ფაკულტეტზე სწავლობდა.

ერთხელ, განყოფილებაში ისეთი რამ მოხდა, რამაც ყველაფერი სასიკეთოდ შეცვალა. ამ დაწესებულებაში ჰამადმა დაიწყო მუშაობა, რომელიც აჰმედზე ცოტათი უმცროსი გახლდათ. იგი ყოველთვის კარგ გუნებაზე იყო, ხოლო ურთიერთობებში სასიამოვნო და გულღია ადამიანი აღმოჩნდა. როგორც იქნა აჰმედი სამსახურში ვიღაცას დაუმეგობრდა! ისინი ყოველთვის ერთად სადილობდნენ და სამსახურის შემდეგაც დროს ერთად ატარებდნენ. ჰამადსაც ჰყავდა ოჯახი. ღმერთმა იგი ოთხი შვილით – ორი ვაჟითა და ორი ქალიშვილით აკურთხა.

აჰმედი და ჰამადი მალე ახლო მეგობრები გახდნენ. ისინი

ხშირად დადიოდნენ სტუმრად ერთმანეთთან ოჯახებში. ძალიან უხაროდათ, რომ შეეძლოთ უბრალოდ ჩაიზე მიეწვიათ ერთმანეთი, დამსხდარიყვნენ და ესაუბრათ. დრო შეუმჩნეველად გადიოდა, როდესაც ისინი სხვადასხვა თემებზე მსჯელობდნენ.

თავდაპირველად მათი საუბრები ძირითადად სამსახურს ეხებოდა, მაგრამ რაღაც დროის შემდეგ სულ უფრო ხშირად ცხოვრებისეულ საკითხებს უღრმავდებოდნენ. ორივე სერიოზულად ეკიდებოდა რელიგიას, მაგრამ ისინი სხვადასხვა აღმსარებლობას აღიარებდნენ: აჰმედი ტრადიციული მუსულმანი გახლდათ, ხოლო მისი უახლოესი მეგობარი ჰამადი, რეგულარულად კითხულობდა წინასწარმეტყველთა წიგნს, ზაბურს, ინჯილს(ახალი აღთქმა) და ისა მასიხის მიმდევარი იყო. 1

აჰმედს ყველაზე მეტად ის აოცებდა, რომ რაც უფრო უახლოვდებოდა ჰამადს, მით უფრო მეტად აფასებდა მის რწმენას და ღმერთთან სიახლოვეს. აჰმედი დარწმუნდა, რომ მის მეგობარს ისეთი ახლო ურთიერთობა ჰქონდა ღმერთთან, რაც თვითონ ვერც კი წარმოედგინა. ეს ყველაფერი ძალზედ საინტერესო აღმოჩნდა მისთვის. აჰმედი მიხვდა, რომ ჰამადის ღმერთთან ურთიერთობა უეჭველად მესიასთან იყო დაკავშირებული.

გარკვეულ წილად აჰმედსაც სჯეროდა მესიის, მაგრამ სხვაგვარად, თავისებურად. მას იესოს, მარიამის ძის (ისა იბნ მარიამ) შესახებ სწამდა ისე, როგორც ყურანში ეწერა. იგი დიდ პატივს სცემდა მასიხს. აჰმედმა იცოდა, რომ მასიხი (მესია) ქალწულ მარიამისაგან დაიბადა, რომ მან მრავალი სასწაული მოახდინა და გაგონილი ჰქონდა, რომ მის შესახებ

---

1 მასიხი-ნიშნავს „ცხებულს“. ძველად ისრაელში მეფის ზეთით ცხება ხდებოდა, როცა იგი სამეფო ტახტზე ადიოდა. ისას დროს ხალხი მასიხის (მესიის) მოლოდინსი იყო. წინასწარმეტყველთა წიგნის თანახმად მასიხი (ე.ი. მართალი მეფე და მხსნელი, განმათავისუფლებელი) მეფე დავითის შთამომავალი უნდა ყოფილიყო, რომელიც ხალხს ტანჯვისგან გაათავისუფლებდა და სამართლიან და მარადიულ მეფობას დაამყარებდა.

ინჯილში (ახალი აღთქმა) ეწერა. ამავე დროს აჰმედი ხვდებოდა, რომ მხოლოდ ზოგიერთი დეტალი იცოდა მასიხის ცხოვრებიდან, და გულით სურდა მეტი გაეგო უზენაესი ღმერთის ამ დიად მოციქულზე (რასული), რომელსაც ყურანი ესოდენ მრავალი სახელით მოიხსენიებდა.

და ბოლოს და ბოლოს, თავისი ცნობისმოყვარეობის დასაკმაყოფილებლად აჰმედმა გადაწყვიტა საუკეთესო მეგობრისთვის, ჰამადისთვის მასიხის შესახებ ეკითხა. მის ამ გადაწყვეტილებას მრავალი საინტერესო საუბარი მოჰყვა.

სამსხვერპლო კრავი

– მიამბე ისას (იესო), მარიამის ძის შესახებ – სერიოზულად სთხოვა მეგობარს აჰმედმა. – მინდა მასზე უფრო მეტი ვიცოდე.

ჰამადი ცოტა ხნით დაფიქრდა, შემდეგ კი უთხრა:

– თუ გინდა, გაიგო რატომ მოვიდა მესია დედამიწაზე, საჭიროა მსხვერპლის მნიშვნელობა გააცნობიერო.

– მსხვერპლი? რას გულისხმობ? – ჰკითხა აჰმედმა.

ჰამიდმა უპასუხა:

– ჩვენ მსხვერპლის მნიშვნელობას ყურბან-აიტის („იდ-ალ-ატჰა“) მაგალითზე ვაცნობიერებთ. შენ ხომ იცი, რომ ამ დღეს აღნიშნავენ მოვლენას, როდესაც ყოვლისშემძლე ალლაჰმა წინასწარმეტყველ იბრაჰიმს საკუთარი ძის მსხვერპლად შეწირვა მოსთხოვა. როგორ ფიქრობ, რა დაემართებოდა იბრაჰიმის ძეს ალლაჰს გამოსასყიდი(ფიდა) მსხვერპლი რომ არ გაეთვალისწინებინა?

–იბრაჰიმის ძე, ისმაილი მოკვდებოდა – უპასუხა აჰმედმა.

– აი, სწორედ ამაში მდგომარეობს მსხვერპლის არსი – ერთი კვდება მეორის ნაცვლად. ღმერთმა ვერძი გამოგზავნა, რომელიც მის მაგივრად იქნა მსხვერპლად შეწირული. მეც იგივე მდგომარეობაში ვარ, როგორშიც იბრაჰიმის ძე იყო. სიკვდილის ძალაუფლების ქვეშ ვიმყოფები.

– ამით რისი თქმა გინდა? – ოდნავ შეცბუნებულმა იკითხა აჰმედმა.

ჰამადმა სერიოზული ტონით უპასუხა:

– წმინდა წერილში, ინჯილში დაწერილია:

„ცოდვის საზღაური სიკვდილია, ხოლო უზენაესი ღმერთის ნიჭი – საუკუნო სიცოცხლე ისა მესიხთან, ჩვენს ბრძანებელთან ერთად.“(1)

ჩემი ცოდვის საზღაური – სიკვდილია. მე ცოდვილი ვარ.

დიახ, ადამიანთა თვალში ძალზე კეთილსინდისიერი პიროვნება ვჩანვარ. ვლოცულობ ყოველ დღე, ვკითხულობ წმინდა წერილს და ღმერთს ვემსახურები, მაგრამ ღმერთის წინაშე მაინც ცოდვილი ვარ. არსებობს კი ისეთი ადამიანი, რომელიც სრულყოფილია ზეციერი ღმერთის წინაშე? – იკითხა ჰამადმა.

– არა! უპასუხა აჰმედმა – სრულყოფილი მხოლოდ ერთი ღმერთია.

– მაშასადამე, ღმერთის წინაშე ყველა ცოდვილია, ასეა? – ისევ იკითხა ჰამადმა.

–დიახ, უდავოდ – დაეთანხმა აჰმედი.

– მაშ, მეც იმ მდგომარეობაში ვარ, როგორშიც იბრაჰიმის ძე იყო – სიკვდილის ძალაუფლების ქვეშ. მაგრამ სად არის მსხვერპლი ჩემი ცოდვებისათვის? იქნებ ღმერთმა ჩემთვისაც გამოგზავნა გამოსასყიდი მსხვერპლი? – კვლავ იკითხა ჰამადმა.

აჰმედმა უბრალოდ არ იცოდა, რა ეპასუხა. ჰამადი კი განაგრძობდა:

იაჰიამ (იოანე ნათლისმცემელი) ზაქარიას ძემ, რომელიც მასიხის (მესიის) დროს ცხოვრობდა, დაინახა რა იგი, თქვა:

„აი, ღმერთის კრავი, რომელიც იღებს ქვეყნიერების ცოდვას.“(2)

მასიხი არ იყო კრავი ადამიანური გაგებით. ის იყო უზენაესი ღმერთის სამსხვერპლო კრავი, ღმერთისაგან წარმოგზავნილი, ზეციდან მოვლენილი. ღმერთის სულმა (რუჰ ალლაჰ) ქალწულ მარიამზე (მარიამ ალ-ათრა) დაივანა, იგი დაორსულდა და შვა ძე. როგორც უკვე იცი, მას დაარქვეს ისა, მარიამის ძე, უზენაესის სიტყვა (კალიმათ ალაჰ) და ღვთის სული (რუჰ ალაჰ). იგი იყო წმინდა. ზეციდან მოგვევლინა, როგორც

ღვთის კრავი. მასიხმა ღმერთის წინაშე სრულყოფილი და სუფთა ცხოვრებით დაამტკიცა, რომ ღმერთის კრავია. მას არასოდეს დასჭირვებია შემდეგი სიტყვების თქმა: „დიდებულ ღმერთს (ასტაგფერ ალაჰ ალ-აბიმ) პატიებას ვთხოვ“, რადგან ნამდვილად ღმერთის უმწიკვლო კრავი გახლდათ. იგი დედამიწაზე მოვიდა, რათა ქვეყნიერების ცოდვები ეტვირთა. ის მსხვერპლად უნდა შეწირულიყო, რაც მოხდა კიდეც, როდესაც საკუთარი სიცოცხლე ნებაყოფლობით გაიღო. მაგრამ იგი აღსდგა მკვდრეთით, ცოცხალი ამაღლდა ზეცად და ერთხელაც კვლავ დაბრუნდება.

ჰამადი ცოტა ხნით გაჩუმდა, შემდეგ აჰმედს შეხედა და უთხრა:

– მეც იმავე მდგომარეობაში ვარ, როგორშიც იბრაჰიმის ძე იმყოფებოდა, სიკვდილის ძალაუფლების ქვეშ. მაგრამ მასიხის, ღმერთის წმიდა კრავის წყალობით, არსებობს მსხვერპლი ჩემი ცოდვებისთვის. ახლა, ამ კრავის წყალობით ღმერთი ყველა ჩვენი ცოდვის პატიებას და სამოთხეში (ჯანა) საუკუნო სიცოცხლეს გვთავაზობს. მასიხმა საკუთარ თავზე აიღო მთელი კაცობრიობის ცოდვა, მათ შორის შენიც აჰმედ.

აჰმედი დიდხანს ჩუმად იჯდა და ფიქრობდა.

შემდეგ თქვა:

– თუკი მესიამ საკუთარ თავზე აიღო მთელი ქვეყნიერების ცოდვა, მაშინ მე აღარ უნდა მოვკვდე...გამოდის, რომ უკვე საუკუნო სიცოცხლე გამაჩნია.

– აჰმედ, – უთხრა ჰამადმა, – დავუშვათ, დაბადების დღე გაქვს და წარმოიდგინე, რომ მასიხი კარზე გიკაკუნებს. მას ხელში საჩუქარი უჭირავს და გეუბნება: „აჰმედ, მინდა ერთი საჩუქარი გადმოგცე, რომელშიც ცოდვების პატიება, საუკუნო სიცოცხლე და ამქვეყნად ღმერთთან პირადი, ცოცხალი ურთიერთობაა, მაგრამ არსებობს გარკვეული პირობები: შენ უნდა მოინანიო, აღიარო ცოდვები და შენთვის გაღებული ჩემი მსხვერპლის მეშვეობით პატიება მიიღო. თუ ამ პირობებს დათანხმდები, საჩუქარი შენი იქნება, წინააღმდეგ

შემთხვევაში არა“.

აჰმედი დააფიქრა ამ სიტყვებმა.

– ალბათ, ძალიან უცნაურად გეჩვენება ეს მაგალითი, – უთხრა ჰამადმა, – მაგრამ სიმართლე იმაში მდგომარეობს, რომ, როდესაც ნებისმიერი ღმერთის მსახური მასიხის მეშვეობით ღმერთთან მისასვლელ გზას განმარტავს, ეს იგივეა რომ მკვდრეთით აღმდგარი ცოცხალი ისა, მარიამის ძე შენს კართან დგას და აკაკუნებს. მან თქვა.

„აი, ვდგავარ კართან და ვაკაკუნებ თუ ვინმე მოისმენს ჩემს ხმას და გააღებს კარს, შევალ მასთან; მე მასთან ვივახშმებ და ის ჩემთან.“(3)

ჰამადი განაგრძობდა:

– მასიხისთვის კარის გაღება და პირად ცხოვრებაში შემოშვება – ეს მისგან საჩუქრის მიღებას ნიშნავს.

– მინდა, იცოდე ჰამად, – უთხრა აჰმედმა, – რომ იმან, რაც ახლა მასიხის შესახებ მითხარი, ძლიერ იმოქმედა ჩემზე. უნდა დავფიქრდე ჩვენი საუბრის შესახებ. მაგრამ მინდა კიდევ უფრო მეტი გავიგო მასიხის შესახებ, როცა ისევ შევხვდებით ერთმანეთს.

ღმერთის სიტყვა

– იმან, რაც ისას, მარიამის ძის შესახებ მიამბე, მაიძულა ბევრი მეფიქრა, – დაიწყო აჰმედმა.

– სანამ მესიის შესახებ საუბარს დავიწყებდეთ, თუ არ გეწყინება, მინდა რამდენიმე კითხვა დაგისვა. შეიძლება?

– რა თქმა უნდა, მკითხე, არ მოგერიდოს – უპასუხა ჰამადმა, – რომელიც უკვე გრძნობდა, თუ რის შესახებ სურდა აჰმედს საუბარი.

აჰმედმა წყნარად დაიწყო:

– შენ იცი, რომ ჩვენ, მუსულმანებს გვწამს ზეციური წიგნები: ალ-თაურა (მოსეს ხეთწიგნეული), ალ-ზაბური (დავითის ფსალმუნები), ალ-ინჟილი (იესოს სახარება) და წმიდა ყურანი. ყოველთვის მასწავლიდნენ, რომ ყურანის გარდა ყველა წიგნი იუდეველებისა და ქრისტიანების მიერ ისეა დამახინჯებული, რომ მათი ნდობა არ შეიძლება. ამიტომ წმინდა წერილი, რომელსაც შენ ერწმუნე, დამახინჯებულია (მოჰარაფი) და ჭეშმარიტებისა და სიცრუის ნაერთს წარმოადგენს.

– შეგიძლია ამის დამამტკიცებელი რაიმე ისტორიული საბუთი წარმოადგინო? – იკითხა ჰამადმა.

აჰმედი ცოტა ხნით ჩაფიქრდა, მაგრამ მისდა გასაოცრად აღმოაჩინა, რომ ზეპირი მსჯელობის გარდა არაფერი სმენია რაიმე ისტორიული ფაქტების შესახებ.

ჰამადი კი განაგრძობდა:

– მითხარი, გეთაყვა როდის მოხდა, ასე ვთქვათ, ეს შესაძლო დამახინჯება, და საერთოდ, როგორ შეიძლებოდა ეს მომხდარიყო?

– არ ვიცი, მე არ შემიძლია ამ კითხვაზე გიპასუხო, – შეცბუნდა აჰმედი.

ცოტა ხნის პაუზის შემდეგ ჰამადმა ჰკითხა:

– შეგიძლია წარმოიდგინო, რომ ყურანი დამახინჯებულია?

– ასტაგფერ ალლაჰ! (ღმერთო შემიწყალე!) – აღმოხდა აჰმედს, – ეს ყოვლად შეუძლებელია, მორწმუნეები არასოდეს მიიღებდნენ მას, ვინც ასეთი განზრახვით მიეკარებოდა ყურანს.

მაშინ ჰამადმა უთხრა:

– მაშ, რატომ ფიქრობ, რომ ჩვენ სხვაგვარი დამოკიდებულება გაგვაჩნია წინასწარმეტყველთა წიგნის, ზაბურის და ინჯილის მიმართ? როგორ შეუძლიათ ადამიანებს თუნდაც იმის გაფიქრება, რომ ჭეშმარიტ მორწმუნეებს შეეძლოთ მიეღოთ ვინმე, ვინც წმინდა წერილს შეცვლიდა და დაამახინჯებდა? მე მწამს ღმერთი, რომელმაც ცა და დედამიწა შექმნა; ღმერთი, რომელიც ყოვლისმცოდნე და ყოვლისშემძლეა.

ჰამადმა განაგრძო:

– მითხარი, გჯერა, რომ ყველაფერი უზენაესის ნებით ხდება?

– დიახ, – უპასუხა ახმედმა.

– მითხარი, მართლა გჯერა, რომ ღმერთმა თავდაპირველად ქვეყნიერებაზე თავისი სიტყვა გამოგზავნა, შემდეგ კი გადაწყვიტა: დაე, დაამახინჯონ? ანდა იქნებ ყოვლისშემძლე ღმერთს არ ეყო უნარი და ძალაუფლება თავისი სიტყვის დასაცავად?

აჰმედი დაეთანხმა:

– რა თქმა უნდა, ღმერთს შესწევს საკუთარი სიტყვის დაცვის უნარი.

– იცი, აჰმედ? – განაგრძო საუბარი ჰამადმა, – წმინდა წერილი საოცარი წიგნია, იგი დაახლოებით 1400 წლის განმავლობაში იწერებოდა! მასში შედის მოსეს ხუთწიგნეული, ზაბური (ფსალმუნები), ინჟილი (სახარება) და ბევრი სხვა წიგნი, რომლებიც ღმერთის წინასწარმეტყველების მიერ დაიწერა. მუსას (მოსე) ხუთწიგნეულში, ზაბურში და წინასწარმეტყველთა წიგნში ლაპარაკია იმის შესახებ, რაც

მასიხის დაბადებამდე მოხდა. ინჯილი კი ქვეყნიერებაზე მასიხის მოსვლით იწყება. წმინდა წერილი სამ სხვადასხვა ენაზე დაიწერა.

– რომელ ენებზე? – დაინტერესდა აჰმედი.

– ძველებრაულ, არამეულ და ბერძნულ ენებზე, – უპასუხა ჰამადმა. – ღმერთმა სხვადასხვა ადამიანები გამოიყენა ამ სიტყვების გადმოსაცემად: ზოგიერთი მათგანი სულთანი და დიდებული იყო, ზოგი მეცხვარე და მეთევზე. წმინდა წერილი მართლაც ღმერთის სასწაულია, რადგან მისი დაწერის ხანგრძლივი პერიოდისა და ავტორთა მრავალფეროვნების მიუხედავად, მთელი წიგნი, ერთიან მთლიანობას წარმოადგენს. მთელ წმინდა წერილს ერთი თემა გასდევს და ეს აჰმედ, სწორედ მასიხია.

– როგორ, ნუთუ ღმერთი 1400 წლის განმავლობაში ლაპარაკობდა მასიხის შესახებ? – გაკვირვებით იკითხა აჰმედმა.

– აჰმედ, ღმერთი მასიხის შესახებ მთელი ისტორიის მანძილზე დღევანდელ დღემდე ლაპარაკობს – ღიმილით უპასუხა ჰამადმა.

– ნუთუ ეს შესაძლებელია?

– რა თქმა უნდა, ღმერთისათვის ხომ შეუძლებელი არაფერია, – უპასუხა ჰამადმა, – მაგრამ ამის შესახებ შემდეგი შეხვედრის დროს შეგვიძლია ვისაუბროთ.

– კარგი, მოუთმენლად დაველოდები – უთხრა აჰმედმა.

უზენაესი ღმერთის მსხვერპლი

– ძალიან მაინტერესებს, როგორ არის მასიხი მთელი წმინდა წერილის მთავარი თემა? – ჰკითხა აჰმედმა მეგობარს.

– გახსოვს, ჩვენ მასიხის შესახებ ვისაუბრეთ, როგორც ღმერთის კრავზე, რომელმაც ჩვენი ცოდვები იტვირთა? – ჰკითხა ჰამადმა;

– რა თქმა უნდა, მახსოვს, ამას რა დამავიწყებდა? – უპასუხა აჰმედმა.

– ღმერთი მსხვერპლის შესახებ მთელი ისტორიის მანძილზე, ისას, მარიამის ძის დაბადებამდე გვასწავლიდა, – თქვა ჰამადმა.

– როგორ? – გაუკვირდა აჰმედს.

– მაგალითად, რამდენი ადამიანი ცხოვრობდა დედამიწაზე ყაბილის (კაენი) და ხაბილის (აბელი) დროს? – ჰკითხა ჰამადმა.

აჰმედს გაუკვირდა ასეთი შეკითხვა, მაგრამ დასმულ კითხვას უპასუხა:

– ოთხი: ადამი, მისი ცოლი ხავა(ევა), ყაბილი და ხაბილი.

– მხოლოდ ოთხი, – თქვა ჰამადმა, – მაგრამ მათ უკვე იცოდნენ, რომ მხოლოდ მსხვერპლის საშუალებით შეიძლებოდა ღმერთისთვის თაყვანისცემა. საიდან უნდა სცოდნოდათ მათ ეს? – ჰკითხა ჰამადმა და გააგრძელა:

– მათ იცოდნენ, რომ ღმერთი სუფთა და წმინდაა, ხოლო ადამიანი ცოდვილი, რომელსაც ესაჭიროება მსხვერპლი საკუთარი ცოდვების გამოსასყიდად.

ნუხი (ნოე) წინასწარმეტყველი მსხვერპლის მეშვეობით სცემდა ღმერთს თაყვანს. იბრაჰიმ წინასწარმეტყველსაც მსხვერპლი მოჰქონდა ღმერთის წინაშე თაყვანისცემის გამოსახატავად. მუსა (მოსე) წინასწარმეტყველი, დავითი, მასიხის ყველა მოციქულები და წინასწარმეტყველები იგივეს

აკეთებდნენ და ღმერთს მსხვერპლის მეშვეობით სცემდნენ თაყვანს. იცი, რომ მეც ზუსტად ასე გამოვხატავ ღმერთისადმი თაყვანისცემას?

– არა, ახლა კი ნამდვილად ხუმრობ, – უთხრა აჰმედმა. – იმედია, ბაზარში არ მიდიხარ ცხვრის საყიდლად, რომელსაც შემდეგ მსხვერპლად სწირავ, – გაიღიმა მან.

– ღმერთს მასიხის, ღმერთის კრავის მეშვეობით ვცემ თაყვანს, რომელმაც ჩემი ცოდვები იტვირთა, როდესაც მსხვერპლად შეეწირა, – უპასუხა ჰამადმა, – ეს დაწერილია ინჯილში.

„ვინაიდან ერთია ღმერთი და ერთია ღმერთსა და კაცთა შორის შუამავალი – კაცი ქრისტე იესო, რომელმაც თავი გასწირა ყველას გამოსახსნელად.“(1)

არსებობს მხოლოდ ერთი ღმერთი და მხოლოდ ერთი შუამავალი ღმერთსა და ადამიანს შორის – მასიხი, რომელმაც თავი გასწირა ყველასთვის გამოსასყიდ მსხვერპლად, მათ შორის შენთვისაც, აჰმედ. მთელი ისტორიის მანძილზე, დღევანდელ დღემდე, ადამიანი ღმერთს თაყვანს მსხვერპლის მეშვეობით სცემს.

– მგონი, უკვე მესმის შენი მაგრამ უფრო მეტის ცოდნა მჭირდება, რათა სრული სურათი მივიღო, – დაფიქრებული ტონით წარმოთქვა აჰმედმა.

ცოტა ხნის ფიქრის შემდეგ ჰამადმა უთხრა:

– ღმერთი მთელი ისტორიის მანძილზე უცხადებდა ადამიანებს მსხვერპლის აზრსა და მნიშვნელობას, განსაკუთრებით მუსას, რაც ხუთწიგნეულში კარგად ჩანს. რჯულის (ალ-შარიათი) სწავლება მსხვერპლის მნიშვნელობის შესახებ, როგორც ცოდვის გამოსყიდვის საშუალება, ნათლად ჩანს შემდეგი სიტყვებიდან:

„თითქმის ყველაფერი, რჯულის მიხედვით, სისხლით

წმინდავდება, და სისხლის დაღვრის გარეშე არ ხდება მიტევება.“ (2)

– მაგრამ, რა კავშირშია ასეთი სწავლება ისასთან, მარიამის ძესთან? – დაინტერესდა აჰმედი.

–აი,როგორ,–უთხრა ჰამადმა,–მსხვერპლისმნიშვნელობის შესახებ სწავლების პარალელურად, წინასწარმეტყველები მრავალ სხვადასხვა წინასწარმეტყველებას წარმოთქვამდნენ მასიხის შესახებ. ამ წინასწარმეტყველებებს შორის იყო ისეთებიც, რომლებიც ქვეყნიერებაზე მოსული მასიხი შესახებ იუწყებოდნენ, რომელიც თავს მსხვერპლად შესწირავდა და ცოდვის ტყვეობისგან დაგვიხსნიდა.

ჰამადმა გადაშალა წმინდა წერილი და აჰმედს აჩვენა.

– თვითონ ნახე და წაიკითხე, თუ როგორ არის მასიხის მსხვერპლი აღწერილი; ეს იშაიახ (ესაია) წინასწარმეტყველმა მასიხის მოსვლამდე დაახლოებით 700 წლით ადრე დაწერა.

„ნამდვილად კი, მან იკისრა ჩვენი სნეულებები და იტვირთა ჩვენი სატანჯველი; ჩვენ კი გვეგონა, ღვთისაგან იყო ნაცემ-ნაგვემი და დამცირებული. მაგრამ ის ჩვენი ცოდვებისათვის იყო დაჭრილი, ჩვენი უკეთურებებისთვის დალეწილი; მასზე იყო სასჯელი ჩვენი სიმრთელისთვის და მისი წყლულებით ჩვენ განვიკურნეთ. ყველანი ცხვრებივით დავეხეტებოდით, თითოეული ჩვენ-ჩვენ გზას ვადექით, უფალმა კი მას შეჰყარა ყოველი ჩვენთაგანის უკეთურება. ევნო და ეწამა, მაგრამ არ დაუძრავს ბაგე; კრავივით დასაკლავად მიიყვანეს და როგორც ცხვარი დუმს მპარსველთა წინაშე, მასაც არ დაუძრავს ბაგე.“(3)

აჰმედს ძალიან შეეხო წინასწარმეტყველის სიტყვები და გაკვირვებულს აღმოხდა:

– ნუთუ ეს ისას, მარიამის ძის მოსვლამდე მრავალი საუკუნით ადრე დაიწერა?

უზენაესი ღმერთის მსხვერპლი

– რა თქმა უნდა, – უთხრა ჰამადმა, – წინასწარმეტყველების თანახმად, მასიხი მეფე დავითის შტოდან უნდა შობილიყო. დავითი, რომელიც მასიხის მოსვლამდე 1000 წლით ადრე ცხოვრობდა, თითქმის ზუსტად აღწერს თავისი შთამომავლის, მასიხის, ჯვარცმას. ალბათ იცი, რომ ჯვარცმა დასჯის მეთოდს წარმოადგენდა, ადამიანი ნელი და მტანჯველი სიკვდილით კვდებოდა. გარკვეული დროის შემდეგ ჯვარცმულებს სახსრებიდან ძვლების ამოვარდნილობა ეწყებოდათ, ამავე დროს ძლიერი წყურვილით იტანჯებოდნენ.

ზაბურში (ფსალმუნთა წიგნი) ვკითხულობთ:

„ვითარცა წყალი დავიღვარე და დაიშალნენ ჩემი ძვლები; ცვილს დაემსგავსა ჩემი გული, დადნა ჩემს გვამში; გამოიფიტა ჩემი ძალა ვითარცა თიხა, ენა სასაზე მიმეკრა და მიმიყვანა სიკვდილის პირას. რადგან გარს შემომეხვივნენ მე ძაღლები, ბოროტთა ხროვა წრედ შემომერტყა ლომთა მსგავსად ჩემი ხელ-ფეხის გასაგმირავად. მთელი ჩემი ძვლები დაითვლება; ისინი მიჭვრეტენ ნიშნის მოგებით. ჩემს სამოსელს ინაწილებენ და წილს ყრიან ჩემს კვართზე.“(4)

დასჯის ეს ზუსტი აღწერა დავითის მიერ არის დაწერილი, მიუხედავად იმისა, რომ დასჯის ეს ფორმა საერთოდ არ გამოიყენებოდა მის ეპოქაში; ეს სასჯელი რომაელებმა მოიფიქრეს, რომელსაც ისა მასიხის ეპოქაში იყენებდნენ.

– როგორც მივხვდი, გინდა თქვა, რომ ყველა ამ წინასწარმეტყველებამ ისაში, მარიამის ძეში ჰპოვა აღსრულება, – თქვა აჰმედმა.

– დიახ, და არა მარტო ესენი, არამედ მრავალი სხვა წინასწარმეტყველებაც ზუსტად აღსრულდა – უპასუხა ჰამადმა, – მასიხი თვითონაც ამოწმებდა იმის შესახებ, რომ იგი ჩვენი ცოდვების გამოსასყიდლად მოვიდა. ანდა, როგორც მან საკუთარ თავზე თქვა:

„...რამეთუ ძე კაცისა არ მოსულა იმისათვის, რომ მას ემსახურონ, არამედ იმისათვის, რომ მომემსახუროს და მისცეს თავისი სული მრავალთა გამოსასყიდად.“(5)

–აჰმედ, ახლა გასაგებია როგორ გასდევს მთელს წმინდა წერილს სწავლება მსხვერპლის შესახებ და როგორ სრულდება ყველაფერი მესიაში?

– ჰამად, არასოდეს მსმენია მსგავსი რამ. ეს ძალიან საინტერესოა, მაგრამ დრო მჭირდება ყოველივე ამის გასაანალიზებლად. კიდევ გესტუმრები და ალბათ, დარწმუნებული ვარ კიდევ უფრო მეტი კითხვები დამებადება.

– გთხოვ, ეს წმინდა წერილი ჩემგან საჩუქრად მიიღე – უთხრა ჰამადმა, – კითხვა ინჯილიდან (ახალი აღთქმა) დაიწყე. ბევრ რამეს შეიტყობ მასიხის ცხოვრების, მისი საოცარი სასწაულებისა და სწავლების შესახებ.

– დიდი მადლობა, – უპასუხა აჰმედმა – ყურანიდან ბევრი მსმენია ამ „წიგნის გმირების“ შესახებ, მაგრამ თავად არასოდეს წამიკითხავს. მე მართლა ძალიან მინდა ისას, მარიამის ძის მიერ გაკეთებული სასწაულებისა და მისი სწავლების შესახებ წავიკითხო.

ცოდვა

– ჰამად, – საკმაოდ ნელა დაიწყო აჰმედმა, – იცი, ჩვენი ბოლო შეხვედრის შემდეგ მასიხის შესახებ ვფიქრობდი. კერძოდ იმაზე, თუ როგორ შესწირა საკუთარი სიცოცხლე კაცობრიობის გადასარჩენად. მხოლოდ ერთი რამ ვერ გამიგია, საიდან წარმოიშვა ცოდვა? რატომ აქვს ყველა ადამიანს ცოდვის გამო პრობლემები? თუ შეგიძლია, გთხოვ ამიხსენი? – სერიოზული კილოთი ჰკითხა აჰმედმა.

– ვფიქრობ, რომ შევძლებ, – უპასუხა ჰამადმა, – მაგრამ ჩვენ თავიდან უნდა დავიწყოთ, რომ გავიგოთ, როგორ წარმოიშვა ცოდვა.

მუსას ხუთწიგნეულში ვკითხულობთ, რომ მას შემდეგ, რაც ღმერთმა ქვეყნიერება და კაცობრიობა შექმნა, ადამიანი სამოთხეში მოათავსა. იგი იყო სრულიად უმწიკვლო და ღმერთთან სრულ ჰარმონიაში ცხოვრობდა. მაგრამ მოხდა ისეთი რამ, რამაც სამოთხის ცხოვრება დაარღვია. როგორ ფიქრობ, მაინც რა მოხდა?

– მოვიდა შაითანი[2] და ყოველივე დაანგრია, – უპასუხა აჰმედმა.

– ზუსტად! – უპასუხა ჰამადმა, – ღმერთმა ადამიანს აუკრძალა კეთილისა და ბოროტის შეცნობის ხის ნაყოფი ეჭამა.

– ასეც უთხრა ადამს:

„ყველა ხის ნაყოფი გეჭმევა ამ ბაღში. მხოლოდ კეთილის და ბოროტის შეცნობის ხის ნაყოფი არ შეჭამო, რადგან როგორც კი შეჭამ, მოკვდები.“(1)

---

2 .შაითანი-ბოროტი სულების მთავარი. ცნობილია ასევე, როგორც ლუციფერი, სატანა, ეშმაკი.

მაგრამ შაითანი მოვიდა გველის სახით, შეაცდინა ადამი და ევა, არ დაემორჩილნენ ღმერთს და ნაყოფი იგემეს, რამაც მთელი კაცობრიობა დამღუპველ შედეგამდე მიიყვანა. მას შემდეგ ცოდვა შევიდა ადამიანში და მისი ნაწილი გახდა. ამის გამო, ყველა ადამიანი ცოდვილია.

– დარწმუნებული ხარ, რომ ყველა ადამიანი ცოდვილია? – დაეჭვდა აჰმედი, – ჩემთვის ეს გაუგებარია. ყველა როგორ გახდა ცოდვილი?

ადამიანი ზუსტად იმ ნაყოფს დაემსგავსა, რომელიც შეჭამა, – უთხრა ჰამადმა, – იგი სიკეთისა და ბოროტების უჩვეულო შენაერთად იქცა. ერთსა და იმავე ადამიანს შეუძლია დიდებული და კეთილშობილური საქმე მოიმოქმედოს, შემდეგ შემობრუნდეს და სიბოროტე, საშინელი დანაშაული ჩაიდინოს, ანდა მოყვასის ქონება მიისაკუთროს. ერთის მხრივ, ადამიანი მოსიყვარულე და მზრუნველია, მეორეს მხრივ კი, შურით, ეგოიზმით, სიძულვილით, გულისთქმებით და ცოდვილი თვისებებით აღსავსე.

– როგორც თქვი, აჰმედ, ეს პრობლემა ყველას აქვს და იგი საერთოა. ყველა რელიგია ცდილობს ამ პრობლემის გადაწყვეტას, ყველა სახელმწიფო გამოსცემს კანონებს, რათა როგორმე შეზღუდონ ცოდვის გამოვლინება. მაგრამ ყველაზე ცუდი ალბათ ის არის, რომ ადამიანი იმიტომ კი არ არის ცოდვილი, რომ სცოდავს, პირიქით – იგი სცოდავს იმიტომ, რომ ცოდვილია. ეს იმას ჰგავს, თითქოს ყველა ადამიანში პატარა ფაბრიკა იყოს მოთავსებული, რომელიც ცოდვასა და ბოროტებას აწარმოებს. განა ეს ასე არ არის? – ჰკითხა ჰამადმა და ყურადღებით დააკვირდა აჰმედს.

– სამწუხაროდ უნდა დაგეთანხმო, რაც ადამიანის შესახებ თქვი, სრული სიმართლეა. ის მართლაც სიკეთისა და ბოროტების რაღაც საოცარი შენაერთია, – უპასუხა აჰმედმა, – მაგრამ რა შუაშია აქ შაითანი?

– შაითანმა ცოდვის მეშვეობით მოიპოვა ძალაუფლება ადამიანის სიცოცხლეზე და მთელს კაცობრიობაზე, – უთხრა

ჰამადმა, – მან ოდესღაც ადამი და ევა შეაცდინა და დღესაც იგივეს აგრძელებს. შაითანი ცოდვის მეშვეობით ინარჩუნებს ძალაუფლებას ჩვენს ცხოვრებაზე, რადგან სწორედ ცოდვა გვაშორებს ღმერთს. სწორედ ცოდვის გამოა მსოფლიო დღეს ასეთ უბადრუკ მდგომარეობაში.

ღმერთმა ყველაფერი მშვენიერი შექმნა, მაგრამ ადამიანმა ქვეყნიერებაზე მრავალი ბოროტება მოიტანა, მაგალითად: ომები, ჩაგვრა, ადამიანთა შორის არასწორი დამოკიდებულებები, ბოროტების სხვადასხვა სახეობა, რაც დედამიწაზე ადამიანის სიცოცხლეს სპობს.

– მაშ, შენ გინდა თქვა, რომ ღმერთმა ჩვენ ასეთებად არ შეგვქმნა, ხოლო დღევანდელი მსოფლიოს სახე ადამის ცოდვის შედეგია? – შეეკითხა აჰმედი.

– რა თქმა უნდა, – უპასუხა ჰამადმა, – ცოდვა ადამის მიერ ჩადენილი საქციელის მეშვეობით შევიდა ადამიანში. დაწერილია:

„როგორც ერთი ადამიანის მიერ ცოდვა შემოვიდა ქვეყნიერებაზე, ხოლო ცოდვის მიერ სიკვდილი, ასევე სიკვდილი გადავიდა ყველა ადამიანში, იმიტომ, რომ ყველამ შესცოდა ამაში.“(2)

ცოდვის ყველაზე სავალალო შედეგი სიკვდილი იყო, როგორც ფიზიკური, ასევე სულიერი.

– ფიზიკური და სულიერი სიკვდილი? – აჰმედს გაუკვირდა. – რას ნიშნავს სულიერი სიკვდილი?

– ღმერთმა ადამიანს უთხრა, რომ თუ იგი ნაყოფს შეჭამდა, მაშინვე „სიკვდილით მოკვდებოდა,“ – უპასუხა ჰამადმა, – და რადგანაც ღმერთი სამართლიანია და ყოველთვის ასრულებს თავის სიტყვას, კაცობრიობამ სიკვდილი იგემა, და იმ დღიდან მოყოლებული, ყველა, ადრე თუ გვიან, სიკვდილს ხვდება; მაგრამ როდესაც ადამიანმა შესცოდა, იგი სულიერადაც მოკვდა.

– ეს როგორ? – ჰკითხა აჰმედმა.

– ცოდვის ნაყოფმა ადამიანი იქამდე მიიყვანა, რომ ღმერთმა სამოთხიდან გამოაძევა, მას იმ ადგილის დატოვება მოუწია, სადაც სუფთა, სრულყოფილ ურთიერთობაში ცხოვრობდა ღმერთთან, და ის სამოთხის გარეთ აღმოჩნდა. ადამიანი სულიერად მაშინ მოკვდა, როდესაც ჩადენილი ცოდვის გამო ცოცხალ და წმინდა ღმერთთან კავშირი გაწყვიტა. ამგვარად სწორედ ცოდვა და ბოროტებაა ის, რაც ადამიანს ღმერთს აშორებს. სწორედ ცოდვაა მიზეზი იმისა, რომ დღეს ადამიანს ღმერთთან ახლო ურთიერთობა არ გააჩნია. რადგანაც ღმერთი უმწიკვლო და წმინდაა, მას არაფერი აქვს საერთო ცოდვასთან, და სწორედ ამიტომ გვესაჭიროება მხსნელი (მონაჯი), რომელიც ცოდვის[3] ყველა შედეგისგან გვიხსნის. ჰმედ, შენ ხომ გწამს, რომ ყველა შენი ცოდვა ჩაწერილია?

აჰმედმა ოდნავ შეწუხებული ტონით უპასუხა:

– ვიცი, რომ მათ ორი ანგელოზი იწერს, რომლებიც ყველა ადამიანს თან ახლავთ.

– ღმერთმა ყველაფერი იცის ჩვენს შესახებ, – განაგრძობდა ჰამადი. – ყოველი კარგი თუ ცუდი საქციელი, თითოეული სიტყვა, ყოველი აზრი თუ განზრახვა (ნეია). ყველაფერი ჩაწერილია ღმერთთან. იცი, როგორ შეფასდება შენი საქმეები განკითხვის დღეს (იომ ალ-ხისაბი)?

– არა, ღმერთმა იცის, – ჩუმად თქვა აჰმედმა.

–შენ ღმერთს უყვარხარ აჰმედ, გახსოვდეს, რომ ღმერთის კრავმა ისამ, მარიამის ძემ საკუთარ თავზე აიღო ყველა ჩვენი ცოდვა. – წყნარად წარმოთქვა ჰამადმა.

აჰმედმა ცოტა ხნის ფიქრის შემდეგ თქვა:

– თუკი მასიხი ასე მნიშვნელოვანია, რატომ არაფერი იცოდნენ ადამმა და ევამ მის შესახებ?

– დამიჯერებ, თუ გეტყვი, რომ მათ იცოდნენ მასიხის შესახებ? – უთხრა ჰამადმა.

---

[3] ე.ი. ჯოჯოხეთისაგან

– არა, ეს შეუძლებელია, რომ ადამს და ევას რაიმე სცოდნოდათ – შეცბუნდა აჰმედი.

– ღმერთს უყვარს ადამიანი და მასთან ურთიერთობა სურს, – უპასუხა ჰამადმა. – აი, რატომ დაიწყო დასაბამიდანვე მათთან მასიხის შესახებ საუბარი. ადამს და ევას იმ ტრაგედიის შემდეგ, რაც მათ შეემთხვათ, ერთი აღთქმა მიეცათ განმანთავისუფლებლის შესახებ, რომელიც ერთ მშვენიერ დღეს სატანის ძალაუფლებას დაამხობდა:

...„მტრობას ჩამოვაგდებ შენსა და დედაკაცს შორის, შენს თესლსა და დედაკაცის თესლს შორის: ის თავს გიჭეჭყავდეს, შენ კი ქუსლს უგესლავდე!“ (3)

მთელს წმინდა წერილში ძეებს მამების სახელებით მოიხსენიებენ – იბრაჰიმის ძე, იაკობის ძე და ა.შ. მაგრამ აქ დაწერილია „დედაკაცის თესლის“ შესახებ. ერთ დღესაც მოვა ვიღაც, ვისაც არ ეყოლება მამა, ადამიანი, რომელიც მხოლოდ დედაკაცის ძე იქნება. ეს ძე დაამხობს შაითანის ძალაუფლებას, თუმცა შაითანი გველის მსგავსად ეცდება „ქუსლის“ დაგესვლით მოკლას იგი.

ეს ზუსტი აღწერაა იმისა, რაც ისას, მარიამის ძეს შეემთხვა, როდესაც თავი შესწირა მსხვერპლად მთელი კაცობრიობის გამოსასყიდად.

– საოცარია, – თქვა აჰმედმა. – საკვირველია, რომ ღმერთი, დედამიწის პირველ მკვიდრთ უკვე ასწავლიდა მასიხის შესახებ. და ეს კიდევ ერთხელ ამტკიცებს იმას,რომ მასიხი ყველაზე მთავარი თემაა, რაზეც წმინდა წერილი საუბრობს. ჰამად, შენ ახლა ბევრი საზრდო მომეცი ჩვენს მომავალ შეხვედრამდე საფიქრალად და განსასჯელად.

იბრაჰიმის ძე

– ძალიან მაინტერესებს, – თქვა ჰამადმა, – მინდა გავიგო, რას ფიქრობ ალ-ინჟილის (სახარება) შესახებ.

–ისმართლაცძალიანსაინტერესოწიგნია,–გულწრფელად აღიარა აჰმედმა. – არასოდეს მსგავსი რამ არ წამიკითხავს. საინტერესოა მასიხის მიერ გაკეთებული დიადი სასწაულების შესახებ კითხვა. მისი მთის ქადაგება ხომ ბრწყინვალეა. მან მრავალი ადამიანური წარმოდგენა პირდაპირ ძირფესვიანად შეცვალა, მაგალითად, როდესაც ასწავლიდა, რომ გიყვარდეთ მტრები და ილოცეთ მდევნელებისთვის.

მასიხის სწავლება ლოცვის შესახებ მკვეთრად განსხვავდება ჩემს მიერ ადრე მოსმენილი ყველა სწავლებისგან. უნდა გამოგიტყდე, რომ ამ წიგნმა ჩემზე ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა, მაგრამ რამდენი პასუხიც მივიღე, თითქმის იმდენივე კითხვა დამებადა.

– ეს კი ნამდვილად საინტერესოა, – ღიმილით თქვა ჰამადმა. – მოდი, იმ შეკითხვით დავიწყოთ, რომელიც პირველი დაგებადა.

– როგორც გსურს, – უთხრა აჰმედმა – მაშ ასე: რატომ იწყება სახარება გენეოლოგიით, იბრაჰიმიდან დავითამდე და შემდეგ ისამდე?

წუთიერი დუმილის შემდეგ ჰამადმა უპასუხა:

– გახსოვს, ადრე ვსაუბრობდით, რომ წმინდა წერილი ერთი მთლიანია და მთელ წიგნს ერთი თემა გასდევს.

– კი, მახსოვს – უპასუხა აჰმედმა.

– გახსოვს, რა თემა იყო?

– ალ-მასიხ, – უპასუხა აჰმედმა.

– შენი კითხვის პასუხი ამ თემასთან არის დაკავშირებული – წინასწარმეტყველების თანახმად, მასიხი იბრაჰიმის და დავითის შთამომავალი უნდა ყოფილიყო.

იბრაჰიმის ძე

აჰმედი დააფიქრა ჰამადის ნათქვამმა, და ბოლოს თქვა:

– ძალიან საინტერესოა, იქნებ კიდევ ერთხელ უფრო დაწვრილებით ამიხსნა ამ წინასწარმეტყველების შესახებ?

მცირეოდენი პაუზის შემდეგ ჰამადმა დაიწყო:

– ერთხელ, დაახლოებით 4000 წლის წინ, ღმერთმა იბრაჰიმს მიმართა, რომელსაც ახლა ღმერთის მეგობარს (ჰალილ ალაჰ) უწოდებენ. ღმერთმა იბრაჰიმს (მას მაშინ ჯერ კიდევ იბრამი ერქვა) აღთქმა დაუდო. იმას, რაც ცისა და მიწის შემოქმედმა იბრამს აუწყა დიდებული შედეგი უნდა ჰქონოდა კაცობრიობისათვის. მუსას ხუთწიგნეულში ვკითხულობთ:

„უთხრა უფალმა აბრამს: წადი შენს ქვეყნიდან, შენი საშობლოდან, მამაშენის სახლიდან იმ ქვეყანაში, რომელსაც მე გიჩვენებ. გაქცევ დიდ ხალხად, გაკურთხებ და განვადიდებ შენს სახელს და კურთხეულ იქნები. ვაკურთხებ შენს მაკურთხებელს და დავწყევლი შენს მაწყევარს; კურთხეულ იქნება შენში მიწიერთა მთელი მოდგმა.“(1)

ღმერთმა მოუწოდა ადამიანს, რომელიც უშვილო იყო მიუხედავად იმისა, რომ კარგა ხნის დაოჯახებული გახლდათ. ყოვლისშემძლე უფალმა მას მიწა და მისგან დიდი ერის წარმოშობა აღუთქვა. ამასთანვე უთხრა, რომ მისი სახელი ყველასთვის ცნობილი იქნებოდა. ყველა ეს აღთქმა ღმერთმა აღასრულა, მაგრამ ყველაზე საოცარი გახლდათ უკანასკნელი, როდესაც ღმერთმა იბრააჰიმში დედამიწის ყველა მკვიდრი აკურთხა. ეს დაპირება შეიცავს აღთქმას მასიხის შესახებ. მაშასადამე, მასიხი (მესია) იბრაჰიმის ძე უნდა ყოფილიყო და ღმერთს მისი მეშვეობით მთელი მსოფლიო უნდა ეკურთხებინა.

– მაგრამ, საიდან იცი რომ ეს აღთქმა აუცილებლად მასიხს ეხებოდა? იქნებ სხვა ვინმეზე იყო საუბარი? – იკითხა აჰმედმა.

– ეს ნათლად ჩანს მუსას ხუთწიგნეულში – უპასუხა ჰამადმა. – გარკვეული დროის შემდეგ იბრაჰიმს ორი ძე შეეძინა: ერთი მისი ცოლისგან – სარასგან, რომელსაც სახელად იცხაკი (ისააკი) უწოდეს, მეორე კი სარას მონისგან –ხაჯარისგან (აგარი), რომელსაც ისმაელი დაარქვეს. მართალია ღმერთმა ისმაელიც აკურთხრა, მაგრამ ისაკის დაბადების წინ ღმერთმა ნათლად უთხრა იბრაჰიმს, რომ მასიხის შესახებ აღთქმა ისააკში უნდა აღსრულებულიყო:

„უთხრა ღმერთმა: სწორედ სარა, შენი ცოლი, გიშობს ვაჟს და დაარქმევ სახელად ისააკს. აღვუდგენ მას ჩემს აღთქმას სამარადისო აღთქმა მისი შთამომავლობისათვის. ისმაელის გამო გისმინე და, აჰა, ვაკურთხებ მასაც, ნაყოფიერს გავხდი და დიდად, დიდად გავამრავლებ. თორმეტ ბელადს წარმოშობს და დიდ ხალხად ვაქცევ. მაგრამ აღთქმას ისაკს დავუდებ, რომელსაც სარა გიშობს გაისად, ამ დღეისსწორს.“ (2)

– დიახ, ისმაილი, რომელიც ღმერთმა აკურთხა, არაბების მამა გახდა – თქვა აჰმედმა. – მაგრამ ჩვენ, მუსულმანებმა ვიცით, რომ ღმერთი ისააკის შთამომავლობიდანაც ბევრ წინასწარმეტყველს და მოციქულს გზავნიდა.

ჰამადი განაგრძობდა:

– იცხაკს (ისააკი) ორი ძე ჰყავდა: ესავი და იაკობი. ღმერთმა მას უთხრა, რომ აღთქმული მასიხი იაკობის შტოდან მოვიდოდა და ეს გამოცხადება მან სიზმრის მეშვეობით მიიღო:

„აჰა, უფალი დგას კიბეზე და ეუბნება: მე ვარ უფალი, ღმერთი აბრაამისა, მამაშენისა, და ღმერთი ისააკისა. ეს მიწა რომელზედაც წევხარ, შენთვის და შენი შთამომავლობისთვის მომიცია. შენი შთამომავლობა ქვიშასავით მრავალრიცხოვანი იქნება და განივრცობი დასავლეთისკენ, აღმოსავლეთისკენ, ჩრდილოეთისკენ და სამხრეთისაკენ, შენი და შენი

შთამომავლობით იკურთხება მიწიერთა მთელი მოდგმა.“ (3)

– საოცარი ის არის, რომ როდესაც ღმერთი იაკობს ესაუბრებოდა, იგი თითქმის სიტყვასიტყვით იმეორებდა იმ აღთქმას, რომელიც იბრაჰიმს დაუდო – თქვა აჰმედმა.

– ალბათ იმიტომ, რომ ფაქტობრივად ეს ერთი და იგივე აღთქმაა, რომელიც თაობიდან თაობას გადაეცემოდა, - უპასუხა ჰამადმა. – მაგრამ როგორც თავად ხედავ, აჰმედ, სწორედ იაკობის მემკვიდრეში სურდა ღმერთს დედამიწის ყველა მკვიდრის კურთხევა.

– ვგრძნობ, რომ მასიხი წმინდა წერილის მთავარ თემად რჩება, - ღიმილით თქვა აჰმედმა.

– ნამდვილად, – უთხრა ჰამადმა. – დაუკვირდი, ისრაელის ერი მრავალ შტოდ იყოფოდა. იბადება კითხვა: ღმერთმა გაუმხილა ადამიანებს ის, თუ რომელი შტოდან მოვიდოდა მასიხი? სამყაროს შემოქმედმა დავითი აირჩია და აღთქმა დაუდო. ბევრ წინასწარმეტყველებაში ღმერთი ამბობდა, რომ მასიხი დავითის შტოდან დაიბადებოდა. იშაიახ (ესაია) წინასწარმეტყველი, რომელიც დავითის ეპოქიდან დაახლოებით 200 წლის შემდეგ ცხოვრობდა, იესეს, დავითის მამის, შტოს მოჭრილ ხეს ადარებდა. ესაია ამბობდა, რომ ამ ოჯახიდან, გამოვიდოდა ის, ვისზედაც უფლის სული დაივანებდა. ის მოიტანდა სამართალს დაჩაგრულთათვის, შექმნიდა სამეფოს, რომელიც სამოთხეს დაემსგავსებოდა და ამ სამეფოში ყველა ღმერთს შეიცნობდა. ესაია წერს:

„ამოვა ყლორტი იესეს ღეროდან და მისი ფესვის ამონაყარი გაიხარებს, დაივანებს მასზე უფლის სული, სული სიბრძნისა და უფლის შიშისა; სიმართლით განსჯის ღარიბ-ღატაკთ, სისწორით განიკითხავს ქვეყნის ბედშავთ, დაჰკრავს მიწას თავის ბაგეთა კვერთხს და თავის პირისქარით ბოროტეულს მოაკვდინებს; „იმ დღეს ხალხთა დროშად იდგება იესეს ფესვი და მისკენ დაიწყებენ დენას ტომები; დიდება იქნება მისი საშვებელი.“(4)

– მოდი ვნახოთ, სწორად გავიგე თუ არა, – თქვა აჰმედმა. ე. ი. ღმერთმა გააცხადა, რომ მასიხი იბრაჰიმი, იცხაკის, იაკობის და დავითის შთამომავალი იქნებოდა.

– მართალია! – ფართო ღიმილით უთხრა ჰამადმა. – როდესაც ინჯილს ვკითხულობთ, ვხედავთ, რომ მასიხი წინასწარმეტყველების შესაბამისად დაიბადა. ეს არის მიზეზი იმისა, თუ რატომ იწყება ინჯილი გენეოლოგიით, რომელიც გვიჩვენებს, რომ მასიხი იბრაჰიმის და დავითის ძეა.

– წმინდა წერილის მთავარი თემა, როგორც ერთხელ კიდევ დამტკიცდა, ისა, მარიამის ძე გახლავთ – თქვა აჰმედმა. – მაგრამ, როგორც ხვდები, კიდევ ბევრი კითხვა მაქვს, და მათ შესახებ შემდეგი შეხვედრის დროს ვისაუბროთ.

უზენაესი ღმერთი ერთია

– რას ხედავ ახლა? – თქვა აჰმედმა და სამი თითი ასწია.

– ერთი ხელის სამ თითს – ღიმილით უპასუხა ჰამადმა, რადგან მიხვდა რასაც გულისხმობდა აჰმედი.

– ჰამად, განაგრძო აჰმედმა, – როგორ ფიქრობ, ღმერთი ერთია თუ სამი?

– შესაძლოა, ბოლომდე ვერ ჩასწვდე იმას, როგორ მწამს, – უპასუხა ჰამადმა, – მაგრამ უნდა იცოდე ,,მწამს ერთი ღმერთი, რომელმაც შექმნა ცა და მიწა, იგი ყოვლადძლიერი, ყოვლისმცოდნე და ყველგანმყოფია. იცი, რომ ჩემი რწმენა წმინდა წერილს ეფუძნება, რომელიც გვასწავლის, რომ ღმერთი ერთია; ამ ჭეშმარიტებას წმინდა წერილის მრავალი ადგილი ადასტურებს.

– შეუძლებელია ღმერთი იყოს ერთიც და სამიც ერთდროულად – მტკიცედ განაცხადა აჰმედმა, ისევ ასწია სამი თითი და დაამატა.

– 1+1+1=3 და არა ერთს.

– რამდენ აჰმედად წარმოგიდგენია შენი თავი ერთად თუ ორად? – ჰკითხა ჰამადმა.

– რა თქმა უნდა, ერთად – თქვა აჰმედმა.

– მაგრამ ღმერთმა შენ შეგქმნა სხეულად და სულად. – უთხრა ჰამადმა. – შენი სხეული, როგორ ფიქრობ, აჰმედია?

– რა თქმა უნდა, – უპასუხა აჰმედმა.

– სულიც აჰმედია? – ჰკითხა ჰამადმა.

– ალბათ, – უთხრა აჰმედმა, და თან მიხვდა საით მიჰყავდა ჰამადს საუბარი.

ჰამადი კი განაგრძობდა:

– მაშ, რატომ არის შეუძლებელი, რომ ერთი უზენაესი ღმერთი იყოს სამ გამოვლინებაში, თუკი მან ჩვენ შეგვქმნა, როგორც ორი ერთი?

წუთიერი დუმილის შემდეგ ჰამადმა გააგრძელა:

– დაუშვათ, ღმერთი ერთი მთლიანობაა, რომელიც თავს სამი სახით ავლენს, რამდენი იქნება 1 X 1 X 1?

– ერთი, – წყნარად თქვა აჰმედმა. – მაგრამ ისა, მარიამის ძე, მხოლოდ ადამიანია და არა უზენაესი ღმერთის ძე, – აჰმედმა ყურადღებით შეხედა ჰამადს. – შენ როგორ ფიქრობ: მასიხი ღმერთის ძეა?

– შენ რას ფიქრობ? – ჰკითხა ჰამადმა.

– ბოლომდე დარწმუნებული არ ვარ, - უპასუხა აჰმედმა. – მაგრამ ვფიქრობ, გწამს ის, რომ ღმერთს ფიზიკური კავშირი ჰქონდა ქალწულ მარიამთან, რის შედეგადაც მათ შეეძინათ ძე.

– ასტაგფერ ალლაჰ! (ღმერთო შეგვიწყალე!) – აღმოხდა ჰამადის. – ნამდვილად არ ვფიქრობ ასე, და არც არავინაა მასიხის მიმდევართა შორის ასე რომ ფიქრობდეს.

აჰმედს ძალიან გაუკვირდა და მეგობარს ჰკითხა:

– მაშინ, რა გწამს?

– მჯერა, რომ ღმერთი უკვდავია; იგი არსებობდა მარადისობაში, მანამ, სანამ რაღაც შეიქმნებოდა, – უპასუხა ჰამადმა. – როდესაც ინჯილი განმარტავს, თუ ვინ არის მასიხი, იგი იწყება არა მისი ქვეყნიერებაზე შობით, არამედ მარადისობით, ვიდრე ღმერთი სამყაროს შექმნიდა. ინჯილში ღმერთის შესახებ დაწერილია:

„დასაწყისში იყო სიტყვა; და სიტყვა იყო ღმერთთან; და სიტყვა იყო ღმერთი. ის იყო დასაწყისში ღმერთთან. ყოველივე შექმნილია მის მიერ; და მის გარეშე არაფერი შექმნილა, რაც კი შექმნილა. მასში იყო სიცოცხლე...“ (1)

ღმერთმა სამყარო შექმნა **სიტყვით**, ასე არ არის?

– დიახ ასეა. ღმერთმა თქვა; იყოს! და იქნა (კუნ ფა იაკუნ), – უპასუხა აჰმედმა.

– მაშ ასე, ღმერთმა ქვეყნიერება თავისი **სიტყვით** შექმნა, –

თქვა ჰამადმა. – ეს სიტყვა, რომელიც უზენაესი ღმერთისგან მომდინარეობდა, მისივე ნაწილს წარმოადგენდა და შემოქმედი ღმერთის აღმშენებლობითი ძალით იყო შემოსილი, და სადაც ის იყო ყველგან სიცოცხლე ვლინდებოდა მრავალნაირი ფორმით.

– გეთანხმები, მაგრამ რას ნიშნავს გამოთქმა „სიტყვა იყო ღმერთი“? – ჰკითხა აჰმედმა.

– მაგალითად, სასამართლოზე მოწმედ რომ გამოვსულიყავი, შეუძლებელი იქნებოდა ჩემი გამოყოფა ჩემი სიტყვებისგან. – უპასუხა ჰამადმა. – ჩემი სიტყვები წარმომაჩენდა მე და ჩემი ნაწილი იქნებოდა. როდესაც ჩვენ აქ ვსხედვართ და ვსაუბრობთ, ჩვენი სიტყვები ჩვენს განუყოფელ ნაწილს წარმოადგენენ, და შესაბამისად საკუთარ თავს სიტყვით წარმოვადგენთ. როდესაც ღმერთი სამყაროს ქმნიდა, სიტყვა, რომელიც მან წარმოთქვა ღმერთის განუყოფელი ნაწილი იყო. შენ არ შეგიძლია უზენაესი ღმერთი თავისი სიტყვისგან გამოყო. ეს ღმერთის მარადიული სიტყვა, რომელიც ერთი იყო ღმერთთან და რომელიც ყველა ღვთიური თვისების მატარებელია, ისაში, მარიამის ძეში იქნა გამოვლენილი, როგორც დაწერილია:

„და სიტყვა გახდა ხორცი და დამკვიდრდა ჩვენს შორის მადლითა და ჭეშმარიტებით აღსავსე; და ჩვენ ვიხილეთ მისი დიდება, როგორც მამისგან მხოლოდშობილის დიდება.“(2)

ჰამადი განაგრძობდა:

– ყველაფერი, რაც ღმერთმა საკუთარი თავის შესახებ თქვა, ყველა მისი თვისება მასიხში გამოვლინდა.

– ღმერთი წმინდაა. ხალხი მასიხის სიწმინდეში ღმერთის სიწმინდეს ხედავდა. ღმერთი სიყვარულია. როცა ისინი ხედავდნენ, როგორ უყვარდა მასიხს ხალხი, ისინი მასში უზენაესი ღმერთის სიყვარულს ხედავდნენ.

ღმერთის ხელშია მთელი ძალაუფლება და ძლიერება.

როდესაც ადამიანები ხედავდნენ, როგორ დადიოდა იგი წყალზე, როგორ ემორჩილებოდა მას ქარი, როგორ ამრავლებდა პურს, როგორ კურნავდა ბრმებს და როგორ აღადგენდა მკვდრებს, ისინი იმ ხელისუფლებას, ძალას და დიდებას გრძნობდნენ, რომელსაც ღმერთი მასიხში ავლენდა.

– მაგრამ ღმერთი როგორ იყო ყველგანმყოფი, როდესაც იგი ერთი ადამიანით იყო შემოსაზღვრული? – არ ცხრებოდა აჰმედი. – ღმერთმა გარკვეული დროით თავი დაანება სამყაროს მართვას, სანამ ის მასიხში იქნებოდა?

– აჰმედ, – უთხრა ჰამადმა, – წარმოიდგინე, რომ ჩვენ უკიდეგანო ოკეანეში ვიმყოფებით. თუ ოკეანიდან ჭიქით წყალს ამოვიღებთ და ამ წყლის ანალიზს ავიღებთ, შევამჩნევთ, რომ ჭიქაში წყალს ზუსტად იგივე თვისებები ექნება, რაც ოკეანეში დარჩენილს. იგივეა მესიასთან დაკავშირებითაც. მარადიული, ყოვლისშემძლე, უზენაესი ღმერთი ყველგან იმყოფება, და ამასთანვე თავს ავლენს მასიხში, იგივე თვისებებით და ძალაუფლებით. ღმერთი არ შემოისაზღვრა, როდესაც მასიხში მოგვევლინა. იგი უწინდებურად ყველგანმყოფია.

– მაგრამ ღმერთს არ შეუძლია ადამიანის სახით მოგვევლინოს? – თქვა აჰმედმა.

– როგორ შეგვიძლია ღმერთი შემოვსაზღვროთ? – კითხვა შეუბრუნა ჰამადმა. – როგორ შეგვიძლია ვთქვათ ყოვლისშემძლეზე, „მას არ შეუძლია?“. განა მას ყველაფრის გაკეთება არ ძალუძს?

– რა თქმა უნდა, მას ყველაფერი შეუძლია, – უპასუხა აჰმედმა – მაგრამ მიჭირს დავიჯერო, რომ ადამიანის სახით მოგვევლინა.

– კარგია რაკი შევთანხმდით, რომ ეს ჩვენთვისაა პრობლემა და არა ღმერთისთვის, რადგან მას შეუძლია ყველაფერი გააკეთოს, რასაც მოისურვებს. – თქვა ჰამადმა.

– ეს ადრე რომ არ გცოდნოდა, რას იტყოდი, ახლა რომ გაგეგო, რომ ღმერთი ცეცხლოვანი ბუჩქის სახით გამოეცხადა მოსეს და ესაუბრა?

აჰმედი ცოტა ხნით დაფიქრდა. იგი მიხვდა, რომ ღმერთისთვის განკაცება უფრო იოლი საქმე იყო, ვიდრე ბუჩქში მოვლინება.

ჰამადი აგრძელებდა:

– აჰმედ, ცოტა დაფიქრდი, ვინ არის იგი, ვისაც „ღმერთის სიტყვას“ და „ღმერთის სულს“ (კალიმათ ალაჰ ვა რუჰ ალაჰ) ეძახიან.

სულიწმიდაც კი ერთია ღმერთთან. ჩვენ ვიცით, რომ ღმერთის სულმა დაივანა ქალწულ მარიამზე, იგი დაფეხმძიმდა და შვა მასიხი, როგორც გაბრიელ მთავარანგელოზმა აუწყა:

„სულიწმიდა მოვა შენს ზედა და უზენაესის ძალა დაგჩრდილავს. ამიტომ წმიდა შობილიც იწოდება ძე ღმერთისად.“(3)

ჩნდება კითხვა, ვინ არის იგი, ვინც ამგვარად მოვიდა დედამიწაზე?

აჰმედ, წარმოიდგინე, რომ მესიის ეპოქაში ექიმი იყავი და მისი დაბადების მოწმობის შევსება დაგავალეს. რომელ სახელს ჩაწერდი ბავშვის მოწმობაში?

– ალბათ, „ისა მარიამის ძე“ – უთხრა აჰმედმა.

– დედის სახელს? – შეეკითხა ჰამადი.

– რა თქმა უნდა, ის ხომ ქალწული მარიამი იყო, – თქვა აჰმედმა.

– და ბოლოს, ჩვენ მოგვეთხოვება მამის სახელიც ჩავწეროთ – ღიმილით თქვა ჰამადმა.

– მაგრამ მას არ ჰყავდა მამა – უფრო ფართო ღიმილით უპასუხა აჰმედმა.– შეგვეძლო ეს გრაფა ღიად დაგვეტოვა, რადგან მას მიწიერი მამა არ ჰყოლია, - თქვა ჰამადმა, ან შეგვეძლო საკუთარი თავისთვის დაგვესვა კითხვა, საიდან მოვიდა იგი? როგორი წარმომავლობა აქვს მას, ვისაც ღმერთის სიტყვას და ღმერთის სულს უწოდებენ? სინამდვილეში ვინ არის იგი, ვინც ზეციდან მოვიდა? ის თვითონ ამბობს:

„...ღმერთის პური ისაა, რომელიც ზეციდან ჩამოდის და სიცოცხლეს აძლევს ქვეყნიერებას... მე ვარ პური სიცოცხლის. ჩემთან მომსვლელს არ მოშივდება და ჩემს მორწმუნეს არასოდეს არ მოსწყურდება.“ (4)

„მე ცოცხალი პური ვარ, ზეციდან ჩამოსული. ამ პურის მჭამელი საუკუნოდ იცოცხლებს. პური, რომელსაც გავცემ, ხორცია ჩემი, ქვეყნიერების სიცოცხლისათვის.“(5)

აჰმედ იგი მოვიდა, რათა საკუთარი სხეული კაცობრიობის დასახსნელად მსხვერპლად შეეწირა. ის, ვინც ჩვეულებრივ პურს ჭამს, ფიზიკურ სიცოცხლეს ასაზრდოებს და უზრუნველყოფს. ხოლო ის, ვინც ზეციდან ჩამომავალი ღმერთის პურით იკვებება, სულიერ სიცოცხლეს ღებულობს, მარადიულ სიცოცხლეს ღმერთში. მას, ვისაც მასიხი სწამს და მასთან ურთიერთობა გააჩნია, სიცოცხლე ეძლევა, რომელიც შინაგან შიმშილს და წყურვილს აოკებს. მასიხი – ეს არის შენთვის გაღებული ღმერთის მსხვერპლი, აჰმედ.
– მე ჯერ კიდევ არ ვარ ამისთვის მზად, – ჩუმად თქვა აჰმედმა. – ახლა თავში უამრავი აზრი მიტრიალებს. მესმის, რომ არასწორი წარმოდგენა მქონდა შენი რწმენის შესახებ. ახლა ვიწყებ იმის გაგებას, რომ ერთი ღმერთი გწამს, რომელიც მასიხში გამოვლინდა. შენ იცი, რომ მთელი გულით მიყვარს მასიხი, მაგრამ ჯერ კიდევ არსებობს მთელი რიგი შეკითხვები, რომლებზეც პასუხები არ გამაჩნია. მოდი, მათ შესახებ მომავალი შეხვედრის დროს ვისაუბროთ.

ღმერთი და ადამიანი

თითქმის ყოველდღე ჩვენს ბოლო საუბარზე ვფიქრობ – თქვა აჰმედმა. – შენ ჯერ თქვი, რომ ისა, მარიამის ძე ადამიანია, შემდეგ კი აღნიშნე, რომ მასში უზენაესი ღმერთი გამოვლინდა.

– ბოლოს და ბოლოს, ვინ არის იგი? შენი მონაყოლიდან გამოდის, რომ მასიხი ღმერთის ძეა, მაშინ როცა იგი არც მეტი არც ნაკლები მარიამის ძეა?

– იცი აჰმედ, – დაიწყო ჰამადმა. – ამ კითხვაზე პასუხი ღმერთთან საუკუნო სიცოცხლის დამკვიდრების გასაღებია, როგორც ამქვეყნად, ასევე საუკუნოდ. ადამიანი რომ გაგვეღმერთებინა, ეს „შირკი“ იქნებოდა (ვიღაცის ან რაღაცის ღმერთთან გატოლება). მაგრამ წმინდა წერილი ამბობს, რომ ღმერთი ადამიანში განსახიერდა, და არა პირიქით.

ჩვენ ყველა ვეთანხმებით იმას, რომ მასიხი დაიბადა, როგორც ადამიანი. წინასწარმეტყველების თანახმად, იგი იბრაჰიმის და დავითის შთამომავალი და მარიამის ძეა. მაგრამ წინასწარმეტყველებებში, რომელიც მასიხის დაბადებამდე დიდი ხნით ადრე წარმოითქვა, ღმერთი გვამცნობდა, რომ იგი ჩვენთან მესიის სახით მოვიდოდა.

– შენ გინდა თქვა, რომ წინასწარმეტყველები, რომლებიც მასიხამდე ცხოვრობდნენ, ასწავლიდნენ, რომ ღმერთი მასიხში გამოგვეცხადებოდა? – იკითხა შეცბუნებულმა აჰმედმა.

– მთელი წმინდა წერილის მთავარ თემას მასიხი წარმოადგენს. და ამიტომ არ უნდა გაგვიკვირდეს, რომ ღმერთი წინასწარმეტყველთ მასიხის შესახებ ჭეშმარიტებას უცხადებდა! – თქვა ჰამადმა.

– აბა, მაჩვენე – მოითხოვა აჰმედმა – ძალიან მინდა წმინდა წერილის ამ ადგილების წაკითხვა.

ჰამადი წუთიერად დაფიქრდა და შემდეგ თქვა:

– როდესაც ღმერთმა, დაახლოებით ჩვ.წ.აღ-მდე 700 წლის, წინასწარმეტყველ მიქას მეშვეობით განგვიცხადა, რომ მასიხი ქალაქ ბაით-ლახემში (ბეთლემი) დაიბადებოდა, ასევე განგვიცხადა, რომ ის რომელიც დაიბადებოდა, მის დაბადებამდე არსებობდა:

„შენ კი, ეფრათას ბეთლემო, უმცირესი ხარ იუდას ათასეულთა შორის, მაგრამ შენგან გამომიგა ხელმწიფე ისრაელში და ძველითგან იქნება მისი წარმოშობა, საუკუნო დღეებიდან.“(1)

მასიხი მართლაც ბეთლემში დაიბადა, როგორც ინჯილში წერია:

„იოსებიც წავიდა გალილეიდან, ქალაქ ნაზარეთიდან იუდეას, დავითის ქალაქში, რომელსაც ეწოდება ბეთლემი, ვინაიდან იგი იყო დავითის სახლისა და ტომისაგან, ჩასაწერად მარიამთან ერთად, რომელიც მასზე იყო დანიშნული და იყო ორსულად. მათი იქ ყოფნისას შეუსრულდა მარიამს მშობიარობის დღეები. და შვა ძე თავისი, პირმშო.“ (2)

იბადება კითხვა: ვინ არის ის, ვინც ამქვეყნად დაბადებამდე დიდი ხნით ადრე არსებობდა? იგი თავად ამბობდა იერუსალიმში იუდეველებთან საუბრისას:

„აბრაამი, მამათქვენი, მოხარული იყო, ეხილა ჩემი დღე. იხილა და გაიხარა. იუდეველებმა უთხრეს მას: ჯერ ორმოცდაათი წლისაც არ ხარ და აბრაამი გინახავს? იესომ უთხრა მათ: ჭეშმარიტად, ჭეშმარიტად გეუბნებით თქვენ: სანამ აბრაამი იქნებოდა, მე ვარ.“(3)

ჩვენ ვიცით, რომ, იბრაჰიმი ჩვ. წ.აღ-მდე დაახლოებით 2000 წლის წინ ცხოვრობდა.

– მაშინ, გამოდის, რომ თვითონ მასიხი ამტკიცებდა, რომ თავის დაბადებამდე არსებობდა, - თქვა აჰმედმა. – მაგრამ

რომელ წინასწარმეტყველებაში წერია, რომ ღმერთი მესიის სახით გამოგვეცხადებოდა?

– ეს წმინდა წერილის მრავალ ადგილზე წერია, – თქვა ჰამადმა. – წინასწარმეტყველი ესაია წერს იმის შესახებ, თუ ვინ წარმოიშობოდა იმ პატარა ქვეყნიდან, სადაც ისა, მარიამის ძე აღიზარდა. იგი შექმნის უკვდავ სამეფოს, სადაც უმთავრესი ნიშანი ღმერთის მშვიდობა იქნება. იგი, არის რა დავითის შთამომავალი, თავად იქნება ამ სამეფოს მარადიული ხელმწიფე. წინასწარმეტყველი აღწერს, თუ ვინ არის მასიხი, იმ სახელების საშუალებით, რომლებიც მას უწოდეს:

„რადგან შეგვეძინა შვილი, მოგვეცა ძე და უფლობა იყო მის ბეჭედზე, ეწოდა სახელად საკვირველი მრჩეველი, ღმერთი ძლიერი, მარადისობის მამა, მშვიდობის მთავარი. ხელმწიფების განსადიდებლად და საბოლოო მშვიდობისათვის დავითის ტახტზე და მის სამეფოში, განსამტკიცებლად და გასაძლიერებლად სამართალში და სიმართლეში აწ და მარადის.“(4)

ჩვენ ვიცით, რომ ის სახელები, რომლებსაც ღმერთი ვინმეს ანიჭებს, ამით აღწერს იმას, თუ ვინ არის ის პიროვნება. მაშ, ვინ არის ის, ვისაც უწოდებენ: **„საკვირველი მრჩეველი, ღმერთი ძლიერი, მარადისობის მამა, მშვიდობის მთავარი.“?**

– მგონი, მასიხის აღქმას იმ სახით ვიწყებ, როგორც მის შესახებ წინასწარმეტყველებს ჯერ კიდევ მის შობამდე ჰქონდა დაწერილი. – თქვა აჰმედმა. – მაგრამ, ნამდვილად იმას ამბობენ, რომ ღმერთი მის მიერ შექმნილ ქვეყნიერებაზე მოვა?

იაჰია, ზაქარიას ძე (იოანე ნათლისმცემელი) მასიხის თანამედროვე გახლდათ – თქვა ჰამადმა. – იგი წარმოგზავნილი იყო ღმერთის მიერ, რათა ხალხი მასიხის მოსვლისთვის მოემზადებინა; რათ მათ მოენანიებინათ და მასიხი ეწამათ.

როდესაც იოანეს ჰკითხეს, ვინ იყო და ღმერთმა რატომ

წარმოგზავნა, მან პასუხად ესაია წინასწარმეტყველის მე-40 თავის ციტირება მოახდინა, სადაც დაწერილია:

„ხმა მღაღადებლისა უდაბნოში: გაამზადეთ უფლის გზა, მოასწორეთ ტრამალზე სავალი ჩვენი ღვთისათვის! ყოველი ტაფობი მაღლა აიწევს და ყოველი მთა და ბორცვი დადაბლდება. ფერდობი დავაკდება და მთაგრეხილები გასწორდება. გამოცხადდება უფლის დიდება და ყოველი ხორციელი იხილავს ღმერთის ხსნას.“(5)

ესაიას მიერ აღწერილი სურათი დიადი მეფის მობრძანებას მოგვაგონებს, რომლისთვისაც საჭიროა უდაბნოში ახალი, სწორი, პირდაპირი გზის გაყვანა, მაგრამ ვინ არის ეს მეფე, რომელიც ჩვენთან უნდა მობრძანდეს, აჰმედ?

– წინასწარმეტყველის მიერ წარმოთქმული სიტყვის თანახმად ის მარადიული უფალია, რომელსაც თაყვანს ვცემთ – თქვა აჰმედმა.

– სურათი უფრო ნათელი ხდება, – განაგრძობდა ჰამადი, – როცა წმინდა წერილების კითხვას. ვაგრძელებთ ერთ-ერთ ადგილზე წერია:

„ადი მთამაღალზე, მახარობელო სიონო! აღიმაღლე შენი ხმა ძლიერი, მახარობელო იერუსალიმო! ნუ გეშინია! უთხარი იუდას ქალაქებს, აქ არის თქო თქვენი ღმერთი! აჰა, მოვა უფალი ღმერთი ძლიერებით და იხელმწიფებს მისი მკლავი, აჰა, საზღაური მასთანაა და მის წინაშეა გასამრჯელო. როგორც მწყემსი, დამწყვსავს ის თავის ფარას, თავისი მკლავით მოუყრის თავს კრავებს და თავის უბით წაიყვანს, და დედაცხვარს წინ გაუძღვება.“ (6)

ჭეშმარიტად, მასიხი მოვიდა, როგორც მწყემსი ყველა მორწმუნისათვის, მან საკუთარ თავზე ასეთი სიტყვები წარმოთქვა:

„მე ვარ მწყემსი კეთილი. მწყემსი კეთილი თავის სიცოცხლეს დასდებს ცხვართათვის.“(7)

მაგრამ,აჰმედ,მაინცვინარისიგი,ვინცწინასწარმეტყველის სიტყვის თანახმად ჩვენთან მოვა, როგორც მწყემსი?

– უნდა გამოგიტყდე, რომ იგი თვით უფალ ღმერთზე ამბობს – უპასუხა აჰმედმა, რომელიც ძლიერ შეძრა წინასწარმეტყველის სიტყვებმა.

ჰამადი განაგრძობდა:

– ალბათ, შენთვის უკვე გასაგებია აჰმედ, რომ ყველა ეს წინასწარმეტყველება მასიხის შესახებ, ისაში, მარიამის ძეში აღსრულდა.

მასიხის შობამდე, გაბრიელ ანგელოზი გამოეცხადა ზაქარიას, რომელიც იოანე ნათლისმცემლის მამა უნდა გამხდარიყო. ანგელოზმა ზაქარიას აცნობა, რომ მას შეეძინება ძე და ამ ძის განსაკუთრებული მოწოდების შესახებ უთხრა:

„ვინაიდან დიდი იქნება ის უფლის წინაშე, ღვინოსა და სათრობელს არ დალევს და სულიწმიდით აღივსება დედამისის მუცლიდანვე. და მრავალ ძეს ისრაელისას მოაქცევს უფლისაკენ – მათი ღმერთისაკენ. და ის ივლის მის წინაშე ილიას სულით და ძალით, რომ მოაქციოს მამათა გულნი შვილების მიმართ, ხოლო ურჩნი მართალთა გონებაზე და წარუდგინოს უფალს მომზადებული ხალხი.“(8)

– აჰმედ, შენი აზრით, ინჯილის თანახმად, ვინ არის იგი, ვისი წინამორბედიც იოანე ნათლისმცემელი იყო?

– უზენაესი, მათი ღმერთი – უპასუხა აჰმედმა.

– როდესაც იაჰაია (იოანე) ნათლისმცემელი იშვა, – თქვა ჰამადმა, – ზაქარია თავის ახალშობილ ძეზე ასე წინასწარმეტყველებდა:

„და შენ, ყრმაო, დაგერქმევა უზენაესის წინასწარმეტყველი,

ვინაიდან წინწახვალ უფლის წინაშე მის გზათა გასამზადებლად, რომ მისცე მის ხალხს გადარჩენის შემეცნება მისი ცოდვების მიტევებით ჩვენი ღმერთის წყალობის წიაღით, რომლითაც გადმოგვხედა ცისკარმა მაღლიდან.“(9)

მაშასადამე, როგორც ხედავ, აჰმედ, იახაია იბნ ზაქარია, წინასწარმეტყველ ესაიას, გაბრიელ ანგელოზის და საკუთარი მამის – ზაქარიას სიტყვების თანახმად, უფლის წინამორბედი იქნებოდა, ხოლო ის ვინც მის შემდეგ მოვიდოდა – თვით ღმერთი.

– დიახ, ეს ჩემთვის გასაგებია და ვფიქრობ, ყოველივე შესრულდა, როდესაც მასიხი მოვიდა – სერიოზულად თქვა აჰმედმა.

– თანაც როგორი სიზუსტით! – დაამატა ჰამადმა – როდესაც ქალწულმა მარიამმა ბაით-ლახემში (ბეთლემში), დავითის ქალაქში, მასიხი შვა, უფლის ანგელოზი მინდორში მყოფ რამდენიმე მწყემსს ეჩვენა და უთხრა:

„...ნუ გეშინიათ, აი, გახარებთ დიდ სიხარულს, რომელიც მთელი ხალხისა იქნება: ვინაიდან დღეს დავითის ქალაქში თქვენ დაგებადათ მაცხოვარი, რომელიც არის ქრისტე უფალი.“(10)

ის ფაქტი, რომ მასიხი თვითონ ღმერთია, ისევ და ისე ადასტურებს ინჯილი. მაგალითისათვის შემდეგი ადგილი მოვიყვანოთ:

„მე და მამა ერთი ვართ.“(11)

მე დასაწყისშივე ძალიან მიყვარდა და ვაფასებდი ისას, მარიამის ძეს, – თქვა აჰმედმა, მაგრამ ახლა პირველად შევძელი დამენახა, ვინ არის ნამდვილი მასიხი, და რატომ მოვიდა იგი დედამიწაზე. გულითადად გმადლობ ჰამად, რომ არ დაზოგე დრო, რათა ეს ჩემთვის აგეხსნა.

– აჰმედ, – სერიოზულად უთხრა ჰამადმა, – მასიხის

რწმენის მეშვეობით, ღმერთი ყველა შენი ცოდვის პატიებას და საუკუნო სიცოცხლეს გთავაზობ.

მასიხმა, რომელმაც სიკვდილზე გაიმარჯვა და მკვდრებს აღადგენდა, თქვა:

„მე ვარ აღდგომა და სიცოცხლე, ჩემი მორწმუნე, რომ მოკვდეს კიდეც, გაცოცხლდება. და ყოველი ჩემი მორწმუნე არ მოკვდება საუკუნოდ.“(12)

აჰმედ, გაქვს სურვილი მიიღო საჩუქარი, რომელსაც ღმერთი მასიხის რწმენის მეშვეობით გთავაზობს?

–დიახ, ვგრძნობ, თითქოს იგი ახლა ჩემი გულის კარზე აკაკუნებს, – თქვა ცრემლმორეულმა აჰმედმა. – როგორ მივიღო ღმერთის საჩუქარი?

– ეს არ არის რთული – თქვა ჰამადმა – შენი სიტყვებით ილოცე ღმერთის წინაშე. აღიარე ყველა შენი შეცოდება, – ღმერთი ისედაც გულთამხილველია. მიიღე პატიება მსხვერპლის მეშვეობით, რომელიც მასიხმა შენთვის გაიღო. ილოცე, რომ ღმერთი შენს ცხოვრებაში თავისი სულით შემოვიდეს და საჭირო ძალა მოგანიჭოს, რათა მასიხის მიმდევარი, მისი მოწაფე გახდე. ამ ლოცვით ისა მასიხის სახელით ილოცე. მის მიერ გაღებული მსხვერპლის წყალობით, იგი შუამდგომელი გახდა შენსა და მამა ღმერთს შორის.

როდესაც შენ, ამგვარად, მიიღებ მასიხს, როგორც ღმერთის მადლს, შენში ერთი სასწაული მოხდება.

ინჯილი გვასწავლის, რომ შენ ზეციდან იშვები – ღმერთისგან ახალ სიცოცხლეს მიიღებ და მასიხის მეშვეობით განახლებულ, პირად ურთიერთობებს დაამყარებ მასთან. ღმერთი იქმნება შენი მამა, ხოლო შენ – მისი შვილი. ინჯილში მათ შესახებ, ვინც მასიხი მიიღეს, წერია:

„ხოლო ყველას, ვინც მიიღო იგი, მისი სახელის

მორწმუნეს, მისცა ძალაუფლება გამხდარიყვნენ ღმერთის შვილები.“ (13)

როდესაც ლოცვა დაამთავრეს უფალს მადლობა ერთად გადაუხადეს, ჰამადმა ფართოდ გაიღიმა და თქვა:

– კეთილი იყოს მობრძანება ჩვენს ოჯახში! ახლა ჩვენ მესიის მეშვეობით – ძმები ვართ ღმერთის დიდ ოჯახში;

– მადლობა როგორ გადაგიხადო! – თქვა აჰმედმა, რომელიც ბედნიერებისგან ბრწყინავდა.

– მადლობა შესწირე ღმერთს და გახსოვდეს – ყოველდღე ასე გააკეთე – უპასუხა ჰამადმა – ურთიერთობა იქონიე მასიხის სხვა მიმდევრებთან. აი, ახლა ნამდვილად შეგიძლია ისე ილოცო, როგორც მასიხმა ასწავლა თავის მოწაფეებს:

–

„მამაო ჩვენო, რომელი ხარ ცათა შინა, წმინდა იყოს სახელი შენი; მოვიდეს სუფევა შენი, იყოს ნება შენი, ვითარცა ცათა შინა, ეგრეცა ქვეყანასა ზედა; პური ჩვენი არსობისა მოგვეც ჩვენ დღეს; და მოგვიტევე ჩვენ თანანადებნი ჩვენნი, ვითარცა ჩვენც მივუტევებთ თანამდებთა მათ ჩვენთა; და ნუ შეგვიყვან ჩვენ განსაცდელსა, არამედ გვიხსენ ჩვენ ბოროტისაგან, რამეთუ შენი არს სუფევა და ძალი და დიდება საუკუნითა მიმართ ამინ.“(14)

დანართი

ციტატები წმინდა წერილიდან

სამსხვერპლო კრავი

(1) რომ. 6:23
(2) იოან.1:29
(3) გამოცხ.3:20

ღმერთის სიტყვა

(1) 1 ტიმ. 2:5-6
(2) ებრ. 9:22
(3) ესაია 53:4-7
(4) ფს.21:15-19
(5) მარ. 10:45

ცოდვა

(1) დაბ. 2:16-17
(2) რომ. 5:12
(3) დაბ. 3:15

იბრაჰიმის ძე

(1) დაბ. 12:1-3
(2) დაბ. 17:19-21
(3) დაბ. 28:13-14
(4) ესაია 11:1-2,4,10

უზენაესი ღმერთი ერთია

(1) იოანე 1:1-4
(2) იოანე 1:1-4
(3) ლუკ.1:35
(4) იოან.6:33,35
(5) იოან.6:51

ღმრთი და ადამიანი

(1) მიქა. 5:2
(2) ლუკა. 2:4-7
(3) იოან. 8:56-58
(4) ესაია. 9:6-7
(5) ესაია. 40:3-5
(6) ესაია. 40:9-11
(7) იოან. 10:11
(8) ლუკ.1:15-17
(9) ლუკ.1:76-78
(10) ლუკა 2:10-11
(11) იოან.10:30
(12) იოან. 11:25,26
(13) იოან. 1:12
(14) მათ. 6:9-13